საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის შედეგად შესრულებულ აკადემიურ ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სამაგისტრო პროგრამის დასკვნით ეტაპზე, რომელშიც მაგისტრანტი ახდენს მიღებული თეორიული ცოდნის, აზროვნების უნარებისა და აკადემიური/საველე კვლევის შედეგების და ტექნიკის სინთეზს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და მისი წარმატებით დასრულება, მაგისტრანტს ამზადებს, როგორც კვლევითი სამუშაოს შემდგომი გაგრძელებისთვის, აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა), ისე პრაქტიკული დანიშნულების მქონე კვლევების შესრულებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- **ნაშრომის თემის შერჩევა** თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციით: ნაშრომის თემა შეიძლება შეირჩეს მაგისტრანტის მიერ არჩეული საკვლევის სფეროდან.
- **ნაშრომის აღწერილობის მომზადება:** ხელმძღვანელთან კონსულტაციით მაგისტრანტი ამზადებს შესასრულებელი ნაშრომის მოკლე აღწერილობას. აღწერილობა უნდა მოიცავდეს ნაშრომში განსახილველი საკითხის/ების აღწერას, ძირითად მეთოდებს, ჰიპოთეზებსა და კვლევის სავარაუდო შედეგებს.
- **ძირითადი ნაშრომის მომზადება:** ძირითადი ნაშრომის მომზადება ხდება სწავლების მეოთხე სემესტრში.

სამაგისტრო ნაშრომისათვის წაყენებული მოთხოვნები:
სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე.

ფორმალურ-სტრუქტურული მოთხოვნები:
სამაგისტრო ნაშრომი უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

1. თავფურცელი - (სათაური, სახელი, გვარი; სკოლა; ხელმძღვანელის სახელი, გვარი და თანამდებობა);
2. რეზიუმე - (ნაშრომის მოკლე შინაარსის აღწერას) (150-200 სიტყვა)
3. სარჩევი - (უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომს სრულად, ყველა თავისა და ქვეთავის დასახელებას და შესაბამის გვერდებს)
4. შესავალი - (შესავალში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი კითხვა/საკითხი/ჰიპოთეზა, დასმული უნდა იყოს ამ კითხვის აქტუალურობა/რელევანტურობა შესაბამისი დარგისთვის/დისციპლინისთვის, მოკლედ იყოს განხილული ძირითადი ტექსტის სტრუქტურა და შინაარსი, თავების/ქვეთავების მიხედვით)
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი - (ნაშრომი უნდა მოიცავდეს ლიტერატურის მიმოხილვის და მეთოდოლოგიურ აღწერას. სასურველია, რომ ნაშრომი დაყოფილი იყოს თავებად და ქვეთავებად ლოგიკური სტრუქტურის თანახმად)
6. დასკვნა - (წარმოდგენილი და განხილული უნდა იყოს კვლევის/ნაშრომის მთავარი მიგნებები, თეორიული თუ პრაქტიკული შედეგები)
7. გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების ბიბლიოგრაფიული ნუსხა - (ბიბლიოგრაფიული ნუსხა უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიურ სტანდარტს, დაცული უნდა იყოს ციტირების სტილი).

სხვა კომპონენტების, როგორიცაა ილუსტრაციები, ტაბულები, ინტერვიუების ტრანსკრიპტები, ტექნიკური გაფორმება არის ინდივიდუალური და წყდება ხელმძღვანელთან ერთად.

ნაშრომის გაფორმების წესი:

- ნაშრომის ზომა - ნაშრომის ზომა არ არის წინასწარ განსაზღვრული. ზოგადად, სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური ზომა, საშუალოდ 12000 - 15000 სიტყვაა (სათვალავში არ შედის ბიბლიოგრაფია, თუმცა შედის დამოწმებები).
- ფონტი და ზომა - Sylfaen-ის უნიკოდი, 11
- სტრიქონებს შორის მანძილი - Single

- სათაურები - Heading 1
- ქვესათაურები - Heading 2
- ბიბლიოგრაფია - Chicago Manual of Style, APA ან MLA

შინაარსობრივი მოთხოვნები:

- სამაგისტრო ნაშრომში გარკვევით და გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული საკვლევი თემა/კითხვა, რომლის რელევანტურობა დარგისთვის/დისციპლინისთვის უნდა იყოს ნათლად წარმოჩენილი.
- ნაშრომი უნდა იყოს მეთოდოლოგიურად გამართული, რაც იმას ნიშნავს რომ საკვლევი კითხვა და კვლევის ა) შინაარსი ბ) მიზნები გ) მეთოდები უნდა იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
- ნაშრომის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში უნდა ჩანდეს, რომ მაგისტრანტი ფლობს სიღრმისეულ ცოდნას დასმული კვლევითი კითხვისათვის რელევანტურ თეორიული ლიტერატურის შესახებ და აქვს უნარი მის მიერ დასმული პრობლემაზე მსჯელობა შესაბამისი კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში.
- ნაშრომი უნდა მოიცავდეს თემის შესახებ არსებული ლიტერატურის, სრული და ამომწურავ ანალიზს (ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით)
- სამაგისტრო ნაშრომში უნდა ჩანდეს შერჩეული მეთოდოლოგიის ზუსტი და თანმიმდევრული გამოყენება: ნაშრომის შესავალი ზუსტად უნდა ასახავდეს გამოყენებულ მეთოდოლოგიას;
- ნაშრომის ძირითად ნაწილში განვითარებული მსჯელობა შესაბამისობაში უნდა იყოს საკვლევ საკითხთან
- ნაშრომის დასკვნა შესაბამისობაში უნდა იყოს საკვლევ საკითხთან და ნაშრომის მიზნებთან.
- სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს აკადემიური ეთიკის წესების სრული და განუხრელი დაცვით, რაც გულისხმობს პლაგიარიზმის აბსოლუტურ აკრძალვას. ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო უნდა მითითებული იყოს ტექსტში, ან ტექსტის ბოლოს არსებულ სქოლიოებში,ციტირების რომელიმე სტანდარტის თანმიმდევრული გამოყენებით. ნაშრომის ძირითად ნაწილში განვითარებული მსჯელობის საკვლევ საკითხთან შესაბამისობა;ნაშრომის დასკვნის შესაბამისობა საკვლევ საკითხთან და ნაშრომის მიზნებთან.
- ნაშრომი უნდა იყოს ანალიტიკური. მხოლოდ აღწერილობითი ტიპის ნაშრომში სტუდენტი ვერ მიიღებს დადებით შეფასებას.

პროცედურული და დისციპლინური საკითხები:

პლაგიარიზმის აკრძალვა - პლაგიარიზმი წარმოადგენს საუნივერსიტეტო წესებით განსაზღვრულ, აკადემიური ეთიკის ნორმების უხეშ დარღვევას. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოვლენილი პლაგიარიზმის შემთხვევების მიმართ, გამოიყენება საუნივერსიტეტო წესებით განსაზღვრული სანქციები.

ნაშრომის შესრულების ვადები:

ამ სილაბუსით გათვალისწინებული, ნაშრომის შესრულების თითოეული საფეხურისთვის განსაზღვრული ვადა სავალდებულოა შესასრულებლად. კალენდარული გეგმით განსაზღვრული ცალკეული ვადის გადაცილების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს ნაშრომის წარდგენისა და დაცვის უფლებას.

გამონაკლის შემთხვევაში, საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის გაგრძელების შესახებ, აკადემიური ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაცია.

<u>**სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა შედგება რამდენიმე საფეხურისაგან:**</u>

- თემის და ხელმძღვანელის შერჩევა (II კვირა) - თემაზე მუშაობა გულისხმობს თემის ხელმძღვანელთან რეგულარულ და ინტენსიურ კონსულტაციებს, ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე.
- თემის პროსპექტუსი/რეზიუმე (IV კვირა) - თემის პროსპექტუსი მაგისტრანტმა უნდა მოამზადოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით და უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ გეგმას: საკვლევი საკითხის, მეთოდის და მიზნების გამართულ ფორმულირებას. პროსპექტუსი არ ფასებდა, მაგრამ მისი წარდგენა სავალდებულოა.
- შუალედური ვერსიის/ნაწილის ჩაბარება (X კვირა) - შუალედურ ვერსიას მაგისტრანტი აბარებს თემის ხელმძღვანელს და მისი შეფასების, კომენტარების და კრიტიკის საფუძველზე განაგრძობს ნაშრომზე მუშაობას. ხელმძღვანელი ვალდებულია დეტალური კომენტარები და შეფასება მიაწოდოს სტუდენტს.
- საბოლოო ვერსიის ჩაბარება (XIV კვირა) - საბოლოო ვერსიას აფასებს როგორც სტუდენტის ხელმძღვანელი ასევე რეცენზენტი. ამ ეტაპზე, სტუდენტმა ნაშრომი უნდა წარუდგინოს ხელმძღვანელს და პროგრამის ხელმძღვანელობას.
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (საგამოცდო პერიოდი) - ნაშრომის დაცვა ხდება თემის ხელმძღვანელისა და შერჩეული კომისიის წინაშე.

ნაშრომის აკადემიური ხელმძღვანელობის მიზნები და ფარგლები:
ნაშრომის ხელმძღვანელსა და მაგისტრანტს შორის ურთიერთობა ემყარება სრულ აკადემიურ თავისუფლებას, მუდმივ ურთიერთანამშრომლობასა და ორმხრივ პასუხისმგებლობას.

აკადემიური ხელმძღვანელობის მიზანია მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს აკადემიური კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. აკადემიური ხელმძღვანელობა ხორციელდება პროფესორისა და მაგისტრანტის ინდივიდუალური თანამშრომლობის გზით, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და მაგისტრანტის მიერ შესრულებულ სამუშაოზე პროფესორის მიერ შეფასების და შემდგომი მითითებების მიცემას. აკადამიური ზედამხედველობის ინდივიდუალური ფორმატიდან გამომდინარე, პროფესორი და მაგისტრანტი შესაძლებელია შეთანხმდნენ ინდივიდუალურ გეგმაზე, ამ სილაბუსით განსაზღვრული ზოგადი წესების ფარგლებში.